<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2018 წელი

„ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის II შესახვევისთვის მელიტონ ქანთარიას სახელის მინიჭების შესახებ“ 2006 წლის 12 ივლისის N72 დადგენილების არარად გამოცხადების შესახებ

1. ქ.თბილისის პრემიერის 1999 წლის 12 ნოემბრის №918 განკარგულების თანახმად საბურთალოს რაიონში, იური გაგარინის ქუჩის II შესახვევს მიენიჭა აკაკი გახოკიძის ქუჩის სახელი. იგივე გეოგრაფიულ ობიექტს, იური გაგარინის II შესახვევს, ქ.თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ივლისის №72 დადგენილების თანახმად ეწოდა მელიტონ ქანთარიას სახელი. საკითხის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ 2006 წლის 12 ივლისის №72 დადგენილება ამ დრომდე არ არის აღსრულებული, რადგან სახელი მიენიჭა გეოგრაფიულ ობიექტს, რომელიც 1999 წლის 12 ნოემბრიდან აღარ არსებობდა და ფაქტობრივი მიზეზები არ იძლევა აქტის შესრულების შესაძლებლობას.

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) არარად გამოცხადდეს საბურთალოს რაიონში, „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის II შესახვევისთვის მელიტონ ქანთარიას სახელის მინიჭების შესახებ“ 2006 წლის 12 ივლისის N72 დადგენილება.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2018 წელი

ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მელიტონ ქანთარიას სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მელიტონ ქანთარიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1:2,500
X:477,634.734
Y:4,620,200.954
X:477,700.632
Y:4,620,158.619
მელიტონ ქანთარიას ქ.
X:477,193.526
Y:4,620,107.974
X:477,616.109
Y:4,620,085.391

107 (პირველი ნაწილი)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ეროვნული არქივი

KA011908542486017

თბილისის ცენტრალური არქივი თბილისი, ზაქარიაძის ქ. #4. ტელ.:2 39 01 80

№ 14/6998 **23 / იანვარი / 2017 წ.**

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდების
და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს ქალბატონ ლია
ჯახველაძეს

ქალბატონო ლია,

თქვენი 2017 წლის 13 იანვრის N06-3/36 მომართვის პასუხად გეგზავნებათ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1968 წლის 10 აპრილის N204 გადაწყვეტილება, ორჯონიკიძის რაიონში მდებარე კოლხეთის ქუჩისთვის იური გაგარინის სახელის მინიჭების შესახებ და ქალაქ თბილისის პრემიერის 1999 წლის 12 ნოემბრის N918 განკარგულება, საბურთალოს რაიონში მდებარე იური გაგარინის ქუჩის მე-2 შესახვევისთვის აკაკი გახოკიძის სახელის მიკუთვნების შესახებ.
ამასთანავე გაცნობებთ, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის (ქალაქ თბილისის მერიის) 1921-2000 წლების დოკუმენტებში, გადაწყვეტილება იური გაგარინის მე-2 შესახვევისთვის ოჩამჩირის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ არ არის დაცული.

დანართი: 5 ფურცელი.

პატივისცემით,

არქივის დირექტორი მაკა კვარაცხელია

N06-3/36 24.01.2017

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს კანცელარიის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლის რაოდენობა 6 ფურცელი

საქართველო

ქალაქ თბილისის პრემიერი

თბილისი 380007, თავისუფლების მოედანი 2
2. Liberty square 380007, Thilisi

2.11.99 № 910

ბ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქალაქ თბილისის ქუჩებისათვის
სახელების მიკუთვნების შესახებ

1 ქალაქ თბილისის მერიასთან არსებული მრნეველთა საბჭოს რეკომენდაციებისა და კულტურის საქმეთა სამინისტროს წინადადებათა საფუძველზე ამიერიდან ეწოდოს:

საბურთალოს რაიონში:

ივგაგარინის ქუჩის II შესახვევს	აკაკი გახოკიძის სახელი
ძლევახდოვსკის ქუჩას	ირაკლი გამყრელიძის სახელი

ვაკის რაიონში:

ალ.ყაზბეგის გაშხარის ჩიხს	- კალისტრატე ქუთათელაძის სახელი

მთაწმიდის რაიონში:

ვაბარნოვის ქუჩის I შესახვევს	- თეიმურაზ ჩიორგაძის სახელი
ვაბარნოვის ქუჩის II შესახვევს	- ანოლა კერვულიას სახელი
მთაწმიდის ქუჩის II შესახვევს	- ზაქარია ქურდიანის სახელი
გახელეფლიანის ქუჩის შესახვევს	- რომან მიმინოშვილის სახელი

ნაძალადევის რაიონში:

დ.ბახარევის ქუჩას	ნინო და კალისტრატე სალიკების სახელი
თამაოაშვილის ქუჩის I და II ჩიხს	პეტრე ბაგრატიონის I და II ჩიხი

საქართველოს ეროვნული
არქივი
ასლი

29

<u>სამგორის რაიონში:</u>

აბზიანიძის ქუჩის პარალელუ- - ვაჟა ბანეთიშვილის სახელი.
რად მდებარე უსახელო ქუჩას

2. დაევალოთ საბურთალოს მთაწმინდისა და ჩუღურეთის რაიონულ გამგეობებს - ერთი თვის ვადაში უზრნველყონ შესაბამისი მაჩვენებლების დამზადება და სათანადო ცვლილებების შეტანა დოკუმენტებში.

3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს პრემიერის მოადგილეს მუხრან მდივანს.

ქ.თბილისის პრემიერი გ.შერაძე

საქართველოს ეროვნული
არქივი
ასლი

ო ქ მ ი №8

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომისა

10 აპრილი 1968 წელი

სხდომას ესწრებიან: თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შ. ე. ბუხრაშვილი

თავმჯდომარის მოადგილეები: ამხ. ამხ. ვ. ა. ჩოფიკაშვილი, გ. ნ. გომაძე, ნ. ა. ჟვანია, ი. თ. ურუმაძე

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ამხ. ვ. დ. ჩალაძე

აღმასკომის წევრები: ამხ. ამხ. მ. ვ. ბაბუნაშვილი, ვ. ვ. გუგუნავა, ნ. ა. დუმბაძე, თ. ნ. ეგაძე, კ. ე. კვეთილაძე, ო. ი. ლოლაშვილი, კ. ს. მეგრელიშვილი, ი. ნ. ჩხენკელი, ვ. ს. ჯანჯღავა, ვ. ლ. ყანკოფაძე;

აღმასკომის განყოფილებების, სამმართველოების და ტრესტების ხელმძღვანელები: ამხ. ამხ. გ. ი. აფხაძე, ი. ი. ბოკერია, უ. ს. ბაქრაძე, გ. ი. ბასილაშვილი, ა. დ. ბუაძე, ნ. ა. გოგლიძე, შ. ვ. თევდორაძე, ი. მ. კობერიძე, ა. ნ. კვაშალი, შ. ე. კახიანი, ს. დ. ლომიძე, გ. ნ. მუჩიაშვილი, ვ. ა. მახარაძე, ა. ნ. მელიქიძე, ბ. გ. მურღულია, ვ. ვ. მუმლაძე, მ. ი. ნემსაძე, ქ. ნ. ოფიაშვილი, ვ. კ. ფანიევი, ნ. ლ. სურგულაძე, ვ. ვ. სულაძე, ვ. გ. ფულეშელაშვილი, ო. გ. ტანჩავული, ვ. ი. შარამენიძე, ვ. ი. ჩომახიძე, გ. ი. ჩხიკვაძე, მ. ს. ჩიკვაიძე, ვ. ფ. ჯაფარიძე, შ. ა. ჯაფარიძე;

სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვ. ნ. ხოდელი

პარტიული კომიტეტის მდივანი – ამხ. ა. ი. ჩანთაძე

რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები:
- პირველი მაისის – ამხ. ნ. ა. გუნცაძე
- ოქტომბრის – ამხ. კ. ვ. აბაშმაძე
- 26 კომისრის – ამხ. ა. ვ. კორშია

ნაგნეთის საფაბრო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე – ამხ. ფ. ი. ბარიძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე: კალინინის – ამხ. ს. გ. მანიძე

აღმასკომის უფროსი იურისკონსულტი – ამხ. ნ. რ. ბარბაველიძე

ქალაქის პროკურორი – ამხ. ა. ე. ფაკიძე

საქართველოს ეროვნული არქივი
ასლი

204

§1
შეკითხვით
29 მარტი
1968 წ.

 კოლხეთის ქუჩისათვის გმირი კოსმონავტი მფრინავის იური აღექსის ძე გაგარინის სახელის მიკუთვნების შ ე ს ა ნ ე ბ

/ამხ.ჩაღაძე/

აზრი გამოთქვა: ამხ. ბუხრაშვილმა

ბრძანებულება: ბიღლისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:

1. ორჯონიკიძის სახ.რაიონში მდებარე კოლხეთის ქუჩას ეწოდოს მსოფლიოში კოსმოსის პირველი დამპყრობის, სსრ კავშირის სახელგანთქმული კოსმონავტი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ იური აღექსის ძე გაგარინის სახელი.

2. დაევალოს ორჯონიკიძის რაიონის საბინაო სამმართველოს შეცვალოს ნარნერები, ხოლო ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიურომ, ბიღლქალაქცნობამ, ქალაქის ეინოგრაფიულმა მუზეუმმა, "მთავარპოჩტამტმა", მილიციის სამმართველოს საპასპორტო განყოფილებამ და სამისამართო ბიურომ შეიტანონ სათანადო ცვლილებები დოკუმენტაციებში.

205

§2
შეკითხვით
29 მარტი
1968 წელი

სანგრონის ტერიტორიაზე მდებარე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივ "ავჭალა 144"-ის 8 სართულიანი, 48 ბინიანი საცხოვრებელი სახლის ექსპლოატაციაში მიღების შესახებ

/იხ.დანართი/

206

§3
შეკითხვით
29 მარტი
1968 წ.

სანგრონის ტერიტორიაზე მდებარე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი "ავჭალა 143"-ის 8 სართულიანი, 48 ბინიანი საცხოვრებელი სახლის №1-ა/ კორპუსის ექსპლოატაციაში მიღების შ ე ს ა ხ ე ბ

/იხ.დანართი/

საქართველოს ეროვნული არქივი
ასლი

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ლენინის რაიონის სკოლების მასწავლებლებმა მიერ შექმნილი №233 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი 24 წევრის შემადგენლობით /სია თან ერთვის/.

2. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი №233-ის სახლის მშენებლობა განხორციელდეს ოქტომბრისა და ჩოერიშვილის ქუჩების კუთხეში, რეკონსტრუქციის ზონაში.

3. დავავალოს ზემოაღნიშნული კოოპერატივის გამგეობას ლენინის რაისაბჭოს აღმასკომთან ერთად უზრუნველყოს ტერიტორიის განაკუთვნება შენობა-ნაგებობისათვის და მაღალი მცხოვრები მოქალაქეების დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართით.

240

§36

ს ა ი დ უ მ ლ ო

/იხ. განსაკუთრებული გადაწყვეტილებათა საქმე/.

თბილისის საქალაქო საბჭოს
აღმასკომის თავმჯდომარე- შ. ბუხრაშვილი

თბილისის საქალაქო საბჭოს
აღმასკომის მდივანი- ვ. ჩალაძე

საქართველოს ეროვნული
არქივი
ასლი

№2

[illegible] [illegible] [illegible] წ.

ქ. თბილისში, ი. გაგარინის
ქუჩის II შესახვევისათვის
მქანთარიას სახელის
მინიჭების შესახებ

საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ“ მე-10 მუხლის თანახმად

ქ. თბილისის საკრებულო ადგენს:

ქ. თბილისში ი. გაგარინის ქუჩის II შესახვევს ეწოდოს „ბჭოთა კავშირის გმირის მელიტონ ქანთარიას სახელი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ბაგაშვილი

ასოციაცია
"საქართველო – ევროპის"
თანამშრომლობა

THE ASSOTIATION
COLLABORATION
"GEORGIA – EUROPE"

საქართველო, თბილისი, კოსტავას 67/69. ტელ.: 2 238 234; მობ.: 599 33 47 70
67/69 kostava Str., Tbilisi, Georgia. Tel.: 2 238 234; Mob.: 599 33 47 70

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ივლისის დადგენილებით, ქ. თბილისში ი. გაგარინის ქუჩის II შესახვევს ეწოდა მეორე მსოფლიო ომის გმირის მელიტონ ქანთარიას სახელი.

დაზუსტებული ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე თვის წინ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით აღნიშნულ ქუჩას სახელი შეეცვალა და ეწოდა პროფესორ აკაკი გახოკიძის სახელი.

მინდა გითხრათ, რომ საკრებულოს ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო ჩვენთვის, ასევე ვეტერანთა საზოგადოებისათვის. იმთავითვე ვგმობთ ამ ფაქტს და გამოვხატავთ აღშფოთებას. ყველა მეცნიერი და პროფესორი, მართალია, დასაფასებელია, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს სხვა პირის სახელისთვის ჩრდილის მიყენების ხარჯზე, მითუმეტეს ისეთი პიროვნების, რომელმაც ერთერთმა განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი მეორე მსოფლიო ომში თავისი მხედრული მამაცობით. მელიტონ ქანთარია დევნილია აფხაზეთიდან. მას დაუწვეს საცხოვრებელი სახლი, გმირი გარდაიცვალა დევნილობაში და მისი შვილიშვილი, 21 წლის თამაზ ოჩიგავა გმირულად დაეცა აფხაზეთის ომში. მისი ნეშტი შარშან სამხედრო პატივით იქნა დაკრძალული თბილისის ძმათა სასაფლაოზე.

ჩვენ საკრებულოს ამ ვანდალურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მკაცრი რეაგირებისათვის მივმართეთ ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურს, საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალურ კავშირს, ომის ვეტერანთა ფედერაციას, ვეტერანთა მსოფლიო ფედერაციის საერთაშორისო წევრი

ორგანიზაციის საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და მეომართა ასოციაცია „ვაზიანის კავშირ"-ს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოებს.

ეს გადაწყვეტილება იმთავითვე არაა ღირსეული. იგი ჩრდილს აყენებს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მებრძოლი-გმირის სახელს, არამედ მთლიანად იმ ქართველთა ღირსებას, რომლებიც ვაჟკაცურად იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომში.

ჩვენ გვაქვს ლოგიკური კითხვა: რატომ გადაერქვა ქუჩას სახელი და რა მიზნები იდგა ამ გადაწყვეტილების უკან? ჩვენ არ გვაქვს ახალი ინიციატივა, ვითხოვთ მხოლოდ აღნიშნულ ქუჩას დაუბრუნდეს მელიტონ ქანთარიას სახელი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ გამოვიყენებთ ყველა შესაძლო სამართლებრივ გზას, მათ შორის სასამართლოში მიმართვის უფლების ჩათვლით.

პატივისცემით ბექა ქანთარია

სამართლის დოქტორი, პროფესორი

26 თებერვალი, 2018 წელი, თბილისი

განცხადებას თან ერთვის ქ. თბილისის 2006 წლის 12 ივლისის დადგენილება.
ფურცელი 1.

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას 67, ბინა 69, ევროპის აკადემიური ცენტრის ოფისი (საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ). ტელ: 599 33 47 70. ელ.ფოსტა: beka.kantaria@yahoo.de

ქალაქ თბილისის საკრებულო

დადგენილება № 72

"12" ივლისი 2006 წ.

ქ. თბილისში, ი. გაგარინის
ქუჩის II შესახვევისათვის
მ.ქანთარიას სახელის
მინიჭების შესახებ

საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ" მე-10 მუხლის თანახმად

ქ. თბილისის საკრებულო ადგენს:

ქ. თბილისში ი. გაგარინის ქუჩის II შესახვევს ეწოდოს საბჭოთა კავშირის გმირის მელიტონ ქანთარიას სახელი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ბეგაშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ასლი: ქალაქ თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარეს, ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

ბეჭა ქანთარია პ/ნ: 51001002256
კოსტავა 67. ბინა 69
599334770

ქალბატონებო და ბატონებო,

მოგეხსენებათ, რომ მეორე მსოფლიო ომი ყველაზე ფართომაშტაბიანი და სისხლისმღვრელი ომი იყო კაცობრიობის ისტორიაში. საქართველო, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არსებული, ნებით თუ უნებლიეთ, ჩართულ იქნა ამ ომში. საქართველოს ათასობით მოქალაქემ თავი გამოიჩინა ომის ყველა ეტაპზე. ესენი იყვნენ როგორც გენერლები, ისე უბრალო ჯარისკაცები. მათ მხედრული მამაცობის მაგალითები უჩვენეს კაცობრიობას. საქართველო მტრის ერთგვარი პლაცდარმიც იყო. ომის წლებში დაიბომბა საქართველოს ზოგიერთი ქალაქი თუ სოფელი.

მეორე მსოფლიო ომის დამამთავრებელი ეტაპი იყო გერმანიის დედაქალაქის - ბერლინის აღება, რომელშიც მილიონობით ჯარისკაცი მონაწილეობდა. ამას ჰქონდა უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობა, რომელსაც მოკავშირეებიდან ყველაზე მატად ამერიკის შეერთებული შტატები აცნობიერებდა. სწორედ ამის გამო, ამერიკის სარდლობამ შეიმუშავა გერმანიის დედაქალქის აღების გეგმა. თუმცა, ეს გეგმა მათ ვერ განახორციელეს. დედამიწიდან ათასობით გენერალი და მილიონობით მეომარი ოცნებობდა იმაზე, რომ რაიხსტაგამდე მიეღწია. ეს ოცნება ბევრისთვის ოცნებად დარჩა. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ომის მრისხანე წლებმა შეიწირა. თუმცა ეს ოცნება რეალობად იქცა ორი ჯარისკაცისათვის. ერთერთი მათგანი იყო ქართველი მებრძოლი მელიტონ ქანთარია, რომლის გმირობა მეორე მსოფლიო ომის გვირგვინია. მელიტონ ქანთარია ომის წლებში სამჯერი იყო მძიმედ დაჭირილი. კაცობრიობა თანდათანობით ივიწყებს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულებს, მაგრამ ამ ორი ჯარისკაცის სახელი დღემდე ცოცხალია. ისინი ამ ომის ერთგვარ სიმბოლოებად იქცა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გაეროს შტაბ-ბინაში, ქ. ნიუიორკში, გამოფენილი იყო მეორე მსოფლიო ომის ყველაზე გამოჩენილი 15 გმირის ფოტო მსოფლიოდან. მათ შორის ერთ-ერთი იყო ქართველი მელიტონ ქანთარია.

მელიტონ ქანთარიამ სიცოცხლის უკანსკენელი დღეები დევნილობაში გაატარა. 1993 წელს, როდესაც დაეცა სოხუმი, ის იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური სოხუმი და ოჩამჩირე. დაუწვეს სახლ-კარი. მისი შვილიშვილი კი ამ ომს შეეწირა. მელიტონ ქანთარია იყო სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება. ის არ ყოფილა არასდროს პარტიული ნომენკლატურის ნაწილი. ომის შემდგომ იგი ყველაფერს აკეთებდა თანამემამულეების, სხვა მოქალაქეების დასახმარებლად, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მისი წყალობით საბჭოთა რეჟიმის პირობებში უმარავი ადამიანი სამკურნალოდ გაემგზავრა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. მისი თხოვნით ძალიან ბევრ ადამიანს სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილით დასჯა მოეხსნა. იყო ყველა გაჭირვებულის ქომაგი. იგი იყო ძალიან უბრალო - კეთილი, თავაზიანი, ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო ომის ზნეობრივი გმირი. მელიტონ ქანთარია არ ყოფილა მხოლოდ ამ ტიტულის მატარებელი, ის იყო ნამდვილი სახალხო გმირი.

ალბათ იცით, რომ ქალაქ თბილისის მერიამ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანხმობით, ორი წლის წინ, ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში (ე.წ. კიკვიძის პარკი) მელიტონ ქანთარიას ბიუსტი გახსნა. ამით დედაქალაქმა პატივი მიაგო ქვეყნის სასიქადულო შვილს. სამწუხაროა, რომ დედაქალაქის მეორე ორგანომ, საკრებულომ კი, მისი სახელი თბილისის ერთერთ ქუჩას გადაარქვა და სხვა პიროვნების სახელი მიანიჭა. დამერწმუნეთ, რომ ქიმიკოსები, ფიზიკოსები და სხვადასხვა დარგში წარმატებული მეცნიერები საქართველოს ყოველთვის ჰყავდა და მუდამ ეყოლება. ომის გმირები და მებრძოლები კი დაფასებას და პატივგებას მოითხოვენ ჩვენგან, მითუმეტეს, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა კვლავ, საწუხაროდ, ომის რეჟიმშია მეზობელ ქვეყანასთან. ასეთ პირობებში ქართველი ვაჟკაცების, მით უფრო, ქართული სამხედრო დიდების პოპულარიზაცია აუცილებელია.

2006 წლის 12 ივლის ქალაქ თბილისის საკრებულომ საბურთალოში, გაგარინის მეორე შესახვევს მელიტონ ქანთარიას სახელი უწოდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ პატარა ქუჩის შენობა-ნაგებობებიდან უტიფრად იქნა ჩამოხსნილი მეორე მსოფლიო ომის გმირის სახელი. ნუთუ ამის შესახებ ვეტერანთა ორგანიზაციებთან არ უნდა ყოფილიყო კონსულტაცია? ან რატომ არ იყო ამის შესახებ ცნობილი მელიტონ ქანთარიას ოჯახისათვის? ეს პროცესი არ უნდა ყოფილიყო გამჭვირვალე? ყველას ხომ უნდა შესძლებოდა საკუთარი აზრის გამოხატვა? ჩვენ არ ვიცით, რომელი მოწვევის საკრებულომ განახორციელა ეს ვანდალური აქტი. არც ის ვიცით, თუ ვისი ინიციატივით გადაერქვა ქუჩას გმირის სახელი.

გაგარინის მეორე შესახვევს მაშინ გმირის სახელი აფხაზეთის ინტელიგენციის ერთი ნაწილის თხოვნით მიენიჭა. იქვე ერთმანეთის მიყოლებით არის ჟიული შარტავას, ვიტალი დარასელიას და ოჩამჩირის ქუჩები. იქაური მცხოვრებლები, სწორედ ამის გამო, ამ ადგილს „აფხაზეთის კუნძულს“ უწოდებს.

საკრებულოს შეეძლო მელიტონ ქანთარიას ქუჩისთვის სახელი არ გადაერქმია და პროფესორ აკაკი გახოკიძის სახელი რაიონში მდებარე სხვა ქუჩისთვის ეწოდებინა.

ჩვენ ვგმობთ ამ ფაქტს და ვითხოვთ აღნიშნულ ქუჩას დაუბრუნდეს მეორე მსოფლიო ომის ლეგენდარული გმირის მელიტონ ქანთარიას სახელი.

პატივისცემით, მელიტონ ქანთარიას ოჯახის სახელით:

ციალა ქანთარია

მელიტონ ქანთარიას შვილი, აფხაზეთიდან დევნილი

მერაბ ქანთარია

მელიტონ ქანთარიას შვილიშვილი,

აფხაზეთიდან დევნილი

მელიტონ ქანთარიას ნათესავებისა და ახლობლების სახელით:

ბექა ქანთარია

ბაჩუკი ქანთარია

ირაკლი ქანთარია

მერაბ ქანთარია

28 თებერვალი. 2018 წელი

საკონტაქტო პირი ბექა ქანთარია:

კოსტავას გამზირი 67, ბინა 69. ევროპის აკადემიური ცენტრის ოფისი.

ტელ: 599 33 47 70. ელ-ფოსტა: beka.kantaria@yahoo.de

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. 75
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
75 Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00004382

27/02/2018

ქ. თბილისის საკრებულოს სახელდების კომისიის
თავმჯდომარეს ქალბატონ **თინათინ ნიბლაშვილს**

ქალბატონო თინათინ,

მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ამ ბოლო დღეებში მელიტონ ქანთარიას ქუჩის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით გამწვავებულ საკითხზე.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს მომართავენ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები, რომლებიც აპროტესტებენ ქუჩისათვის სახელის გადარქმევას. განსაკუთრებით აქტიურობენ II მსოფლიო ომის ვეტერანები, რომელთათვისაც მელიტონ ქანთარიას სახელი ასოცირდება ფაშიზმთან მებრძოლ თითოეულ ქართველთან და ჩვენი თანამემამულეების მხრიდან გაღებულ უზარმაზარ მსხვერპლთან. ამდენად, ვეტერანები ამ ფაქტს პირად უპატივცემულობად და შეურაცხყოფად მიიჩნევენ.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მრავალათასიან ბენეფიციართა სახელით მოგმართავთ თხოვნით, შეუნარჩუნოთ მელიტონ ქანთარიას ქუჩას თავისი სახელი.

იმედს გამოთქვამ, რომ ქ. თბილისის საკრებულოს სახელდების კომისია არ გააწბილებს ვეტერანების მოლოდინს.

პატივისცემითა და შემდგომი ნაყოფიერი თანამშრომლობის სურვილით.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი ვლადიმერ იმნაძე

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. 75
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
75 Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00004914

05/03/2018

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ **გიორგი ტყემალაძეს**

ბატონო **გიორგი**,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს 2018 წლის 03 მარტს განცხადებით (N4643) მომართა მოქალაქე ბექა ქანთარიამ, რომელიც ითხოვს ქუჩისათვის ბიძამისის, საბჭოთა კავშირის გმირის, მელიტონ ქანთარიას სახელის დაბრუნებას. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 12 ივლისის N72 დადგენილებით, ქ. თბილისში, ი. გაგარინის ქუჩის მე-2 შესახვევს საბჭოთა კავშირის გმირის მელიტონ ქანთარიას სახელი ეწოდა.

როგორც განცხადებიდან ირკვევა, აღნიშნულ ქუჩას რამდენიმე თვის წინ სახელი შეეცვალა და ეწოდა პროფესორ აკაკი გახოკიძის სახელი. ჩვენი უწყება მიესალმება ყოველი ღვაწლმოსილი ადამიანის დაფასების გამოხატვას, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ეს არ უნდა მოხდეს ისტორიული გმირების დიდების შეზღუდვის ხარჯზე. საქართველოს კანონი „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ ყველა სახელმწიფო უწყებას ერთნაირად ავალდებულებს, მომავალ თაობებს შემოუნახოს და გადასცეს იმ ადამიანების სახელები, რომლებიც ეპოქებს ჰქმნიდნენ. მელიტონ ქანთარია ერთ-ერთია მათ შორის, რადგანაც იგი იმ პერიოდისათვის მსოფლიოს უდიდესი მტრის - ფაშიზმზე გამარჯვების სიმბოლოდ იქცა.

იმედი გვაქვს, გაგებით მოეკიდებით ჩვენი უწყებისა და მელიტონ ქანთარიას ოჯახის გულისწყრომას და გაგვარკვევთ, რამ განაპირობა ზემოთაღნიშნული ფაქტი. ასევე, გთხოვთ, სათანადო რეაგირება მოახდინოთ იმ ხარვეზის გამოსასწორებლად, რაც გმირის სახელის უკვდავყოფას უკავშირდება.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი ვლადიმერ იმნაძე

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი

№ 2567/3-46
06.03.2018

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

ასლი: სსიპ ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახურს
ქ.თბილისი, გორგასლის ქ. №75

ქალბატონო თინათინ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტში შემოვიდა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის ვლადიმერ იმნაძის განცხადება №046 სადაც აღნიშნულია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონში არსებული ერთ-ერთი ქუჩა ატარებდა მეორე მსოფლიო ომის გმირის მელიტონ ქანთარიას სახელს, თუმცა ქ. თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით აღნიშნული ქუჩის ნაწილს შეეცვალა სახელწოდება, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც მელიტონ ქანთარიას ოჯახის წევრებში, ისე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებში და ითხოვენ ზ/ა ქუჩისთვის მელიტონ ქანთარიას სახელის აღდგენას.

გთხოვთ, შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი, რათა დაკმაყოფილდეს განცხადება შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში.

აგრეთვე გთხოვთ, წერილობით აცნობოთ მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს და განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

დანართი 01 ფურცელი

პატივისცემით,
გლდანის №20 მაჟორიტარული ოლქის
მაჟორიტარი პარლამენტის წევრი — კობა კობალაძე

მისამართი: ქ. თბილისი დ. სარაჯიშვილის №1 ტელ(995532) 265-00-07 ელ.ფოსტა: avchalabiuro@yahoo.com

4600, ქ.ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. 75
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
75 Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00004652

01/03/2018

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს
ბატონ კობა კობალაძეს

ბატონო კობა,

თითოეული ჩვენთაგანისთვის ფასდაუდებელი და საამაყოა ქართველი გმირების თავდადება, რომელთაც ღირსეული წვლილი შეიტანეს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებაში. ჩვენი სახელმწიფოს მიზანია მათთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა და გარდაცვლილ გმირთა სახელების უკვდავყოფაზე ზრუნვა. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მეორე მსოფლიო ომის ქართველი გმირის, გამარჯვების დროშის აღმმართველის და ფაშიზმზე გამარჯვების ერთ-ერთი სიმბოლოს მელიტონ ქანთარიას დამსახურება. მელიტონ ქანთარიას დამსახურების აღიარებისა და მისი სახელის უკვდავყოფის მიზნით თბილისის ერთ-ერთი ქუჩა ატარებს მის სახელს, თუმცა როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით აღნიშნული ქუჩის ნაწილს გადაერქვა სახელი, რამაც სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებში და მელიტონ ქანთარიას ოჯახის წევრებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით თბილისში არსებული შესაბამისი ქუჩისათვის მელიტონ ქანთარიას სახელის აღდგენის შესახებ.

პატივისცემით,

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი ვლადიმერ იმნაძე

მაჟორიტარი პარლამენტის
წევრის
კობა კობალაძის ბიურო
შემოსული № 046
5 03 2018 წ.
შუალ. რეგისტრაცია 01

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031734257**

თარიღი: **08.12.2017**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი
ლიანა შარაშენიძე
პირადი ნომერი: 01009016281
მისამართი: თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ IV კვ. N 6 ბ. 17

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე ლიანა შარაშენიძის 2017 წლის 31 ივლისისი მატერიალური სახით შემოსულ N8591 განცხადებაზე. რომლითაც მოთხოვნილია ქ.თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის II მკ/რნ IV კვ N6-ის მიმდებარედ უსახელო ქუჩის სახელდებას.
როგორც მოგეხსენებათ, ქ.თბილისისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან (სსიპ-ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური) მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. ჩვენი მოსაზრებით, ქუჩის განვითარების არეალმა უნდა მოიცვას ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია (იხილეთ დანართი).
გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო - სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისია - კომისიის
თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **60-01180121517**

თარიღი: **12.01.2018**

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის:თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 08.12.2017 წლის # 03-031734257 (08.12.2017 #14-01173423044-60) განცხადება, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, რომ თქვენი მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური - მიწის ნაკვეთის
საზღვრების მომზადების განყოფილება -
განყოფილების უფროსი

რუსუდან გეჯაძე